ხაშურის მოამბე

№31(404) 21 აგვისტო, ორშაბათი, 2023 წელი

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით ეკონომიკური საბჭოს სხდომა გაიმართა

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ სხდომაზე ეკონომიკის მიმართულებით ქვეყანაში არსებული დადებითი ტენდენციები მიმოიხილეს.

განსახილველ საკითხებს შორის იყო ინფლაციის დაბალი დონე და ბიუჯეტის შესრულების დინამიკა. როგორც ფინანსთა მინისტრმა ლაშა ხუციშვილმა აღნიშნა, ივლისში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინფლაციამ 0.3 პროცენტი შეადგინა, 2023 წლის 6 თვის მაჩვენებლების მიხედვით კი ბიუჯეტი გადაჭარბებით შესრულდა.

მთავრობის მეთაურმა რეგიონებში ინფრასტრუქტურული პროექტების მიმდინარეობის შესახებ მოისმინა ინფორმაცია. როგორც რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა ირაკლი ქარსელაძემ აღნიშნა, სამინისტრომ 2023 წლის 6 თვის სახელმწიფო ბიუჯეტი 13.5%-ის ანუ 1 331.1 მლნ ლარის გადაჭარბებით შეასრულა. მიმდინარეობს 203 კმ მაგისტრალური გზების მშენებლობა, რომლის გახსნაც, ეტაპობრივად, 2023 -2024 წლებშია დაგეგმილი. ქვეყნის მასშტაბით, მიმდინარეობს 1800 კმ-მდე შიდასახელმწიფოებრივი და ადგილობრივი გზების რეაბილიტაცია. 167 მდებარეობაში მიმდინარეობს წყალმომარაგებისა და წყალარინების, 3 მილიარდ ლარზე მეტი ღირებულების, პროექტები. სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარებისთვის მიმდინარეობს ახალციხის, ზუგდიდის, სოფელ არხილოსკალოს, ბოლნისის, წნორის სპორტული კომპლექსებისა და მრავალფუნქციური სპორტული დარბაზების მშენებლობა. დასრულების ეტაპზეა რუსთავის სპორტული კომპლექსის მშენებლობა.

პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით, დაწყებული საბავშვო ბაღების მშენებლობა-რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში, 130 ახალი ბაღების მშენებლობაზე უკვე გაფორმებულია ხელშეკრულება და ტენდერების გამოცხადება გრძელდება.

სხდომაზე განიხილეს 800 სკოლის მშენებლობა-რეაბილიტაციის მასშტაბური, 1 მილიარდი ლარის ღირებულების პროექტი, რომელიც ასევე პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით დაიწყო. პროექტის პირველ ეტაპზე მიმდინარეობს 80 ახალი სკოლის მშენებლობისა და 200 სკოლის რეაბილიტაციის პროცესი. მომდევნო ეტაპი 2024 წელს დაიწყება და 2026 წლის ბოლოსთვის დასრულდება. პროექტი საგანმანათლებლო რესურსებზე თანაბარ ხელმისაწვდომობა-გაუმჯობესებას უზრუნველყოფს და მისი განხორციელებით 230 000-ზე მეტი მოსწავლე ისარგებლებს.

პრემიერ-მინისტრის გადაწყვეტილებით დაწყებული ქალაქებისა და კურორტების განვითარების ახალი 5 წლიანი პროგრამის ფარგლებში, პირველ ეტაპზე შერჩეული 11 მდებარეობის განვითარებისთვის, გამოცხადებულია 8 ტენდერი.

განსახილველ საკითხებს შორის იყო ტურიზმის მიმართულებით არსებული დადებითი ტენდენციები. როგორც ვიცე-პრემიერმა, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა ლევან დავითაშვილმა აღნიშნა, 2023 წლის I-II კვარტალში მოგზაურობიდან მიღებულმა შემოსავალმა 2019 წლის

მაჩვენებელს გადააჭარბა და რეკორდული მაჩვენებელი დაფიქსირდა - 1,804,529,935 აშშ. დოლარი, რაც 2019 წლის ანალოგიურ მაჩვენებლის 123.9% აღდგენაა. 2022 წელთან შედარებით მოგზაურობიდან შემოსავლები 57.9%-ით არის გაზრდილი. მთლიანობაში, 2023 წლის I-II კვარტლის მდგომარეობით საერთაშორისო მოგზაურობიდან საქართველომ 1.8 მილიარდი დოლარის შემოსავალი მიიღო.

ასევე განიხილეს ახალი ავიამიმართულებათა დამატებისა და ჩინეთთან ფრენების ინტენსივობის გაზრდის შესაძლებლობები. აღინიშნა, რომ სხვადასხვა ქვეყანასთან ფრენების ინტენსივობის გაზრდა და ახალი ავიამიმართულებების დამატება ხელს შეუწყობს ქვეყანაში ტურიზმისა თუ ავიაციის სექტორის განვითარებას.

სხდომაზე მსხვილი ეკონომიკური პროექტების მიმდინარეობასა და ამ მიმართულებით სამომავლოდ გადასადგმელ ნაბიჯებზე იმსჯელეს.

საკრებულოს რიგგარეშე სხდომა

16 აგვისტოს, გადაუდებელი აუცილებლობიდან გამომდნარე, გაიმართა ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომა, ნინო ლიპარტელიანის თავმჯდომარეობით.

სხდომამ დაამტკიცა პროექტი „ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთელის - ზედამხედველობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ 2017 წლის 4 დეკემბრის N44 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

ხაშურში, მუსიკალური სკოლის მიმდებარე ტერიტორია კეთილმოეწყო

მოწესრიგდა ქუჩის მიმდებარედ არსებული ბეტონის კედელი, ფილებით მოპირკეთდა ტროტუარები, მოეწყო გაზონები, წრეზე განთავსდა ლირა, დამონტაჟდა თანამედროვე ტიპის გარე განათება.

რეაბილიტაცია ჩაუტარდა მიწისქვეშა გადასასვლელსაც, რაც ხაშურელი მოქალაქეების უსაფრთხო და კომფორტულ გადაადგილებას უზრუნველყოფს.

მუსიკალური სკოლის მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობისთვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან 149 107 ლარი დაიხარჯა. მიწისქვეშა გადასასვლელის რეაბილიტაციისთვის გამოყოფილმა თანხამ კი 214 592 ლარი შეადგინა.

საქართველოს მთავრობის

დადგენილება №300

2023 წლის 14 აგვისტო

ქ. თბილისი

სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2023 წლის საშემოდგომო გაწვევის შესახებ

მუხლი 1

„სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის პირველი პუნქტისა და 22-ე მუხლის და „სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე, სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა ორგანიზებულად გაწვევის მიზნით:

1. მოქალაქეთა 2023 წლის საშემოდგომო გაწვევა განხორციელდეს 2023 წლის 21 აგვისტოდან 2023 წლის 27 დეკემბრამდე.

2. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის ძალებში გასაწვევ მოქალაქეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს 1400-ით.

3. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში გასაწვევ მოქალაქეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს 949-ით.

4. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მოთხოვნის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში – სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში გასაწვევ მოქალაქეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს 570-ით.

5. სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის მოთხოვნის შესაბამისად, სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში გასაწვევ მოქალაქეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს 225-ით.

6. საქართველოს თავდაცვის ძალებში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში – სპეციალურ პენიტენციურ სამსახურსა და სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში გაწვეულ იქნენ 18-იდან 27 წლამდე ასაკის მოქალაქეები, რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით არ აქვთ სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების ან სამხედრო სამსახურში გაწვევისაგან გათავისუფლების მოთხოვნის უფლება.

7. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ პერიოდში, ამავე მუხლის მე-2 – მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული უწყებების წერილობითი მოთხოვნების შემთხვევაში, სამხედრო სავალდებულოსამსახურში მოქალაქეთა 2023 წლის საშემოდგომო გაწვევის პროცესი შესაბამის უწყებაში შეიძლება შეწყდეს ამავე მუხლის მე-2 – მე-5 პუნქტებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებამდე.

8. 18-იდან 27 წლამდე ასაკის გასაწვევი მოქალაქეები ამ დადგენილების ძალაში შესვლის დღიდან ვალდებულნი არიან, გამოცხადდნენ მუნიციპალიტეტის მერიის, ხოლო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტში – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის რაიონის გამგეობის (შემდგომში – თბილისის რაიონი) და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროს შესაბამის სტრუქტურულ ერთეულში (შემდგომში – მუნიციპალიტეტის/თბილისის რაიონის/აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროს სტრუქტურული ერთეული) რეგისტრაციის/ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

9. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ ამ დადგენილების ამოქმედებიდან 10 დღის ვადაში განსაზღვროს ის სამედიცინო დაწესებულებები, რომლებშიც გაიგზავნებიან წვევამდელები დამატებითი სამედიცინო გამოკვლევისათვის.

10. მოქალაქეთა მიერ სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების მოსაკრებლის გადახდა განხორციელდეს გაწვევის მთლიან პერიოდში, მუნიციპალიტეტის/თბილისის რაიონის/აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროს გამწვევი კომისიის მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში.

11. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ადგილებზე აღმოუჩინოს დახმარება მუნიციპალიტეტის/თბილისის რაიონის/აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროს სტრუქტურულ ერთეულებს იმ წვევამდელთა მოძებნასა და მუნიციპალიტეტის/თბილისის რაიონის/აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის იძულებით გადაადგილებულ პირთა სამინისტროს გამწვევ კომისიაზე გამოცხადებაში, რომლებიც არ იძებნებიან ან, სავარაუდოდ, თავს არიდებენ სამხედრო სავალდებულო სამსახურს.

12. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ კოორდინაცია გაუწიოს სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევის პროცესს.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2023 წლის 21 აგვისტოდან.

პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი

ხაშურის მუნიციპალიტეტი

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია

ბრძანება:ბ84. 84232284

თარიღი:16/08/2023

ბრძანება ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამხედრო სავალდებულო სამსახურში 2023 წლის საშემოდგომო გაწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის ,,ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს კანონის „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ მე–20-ე, 21–ე, 22–ე, 23–ე, 24–ე, 25-ე, 28–ე მუხლების,|”სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებლის შესახებ” საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე და საქართველოს მთავრობის 2023 წლის 14 აგვისტოს № 300 დადგენილების „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2023 წლის სშემოდგომო გაწვევის შესახებ“ თანახმად, სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა გაწვევის ორგანიზებულად მოწყობის მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ხაშურის მუნიციპალიტეტიდან სამხედრო სავალდებულო სამსახურის გასავლელად 2023 წლის საშემოდგომო გაწვევის პერიოდში განხორციელდეს მოქალაქეთა გაწვევა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში 21 აგვისტოდან 27 დეკემბრამდე გეგმა-გრაფიკის შესაბამისად;

2. საქართველოს თავდაცვის ძალებში,საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედ სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებაში-სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში,საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და

(დასასრული მე-3 გვერდზე)

(დასასრული მე-3 გვერდზე)

სახელმწიფო დაცვის სპეციალურ სამსახურში გაწვეულ იქნან ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 18–დან 27 წლამდე ასაკის მოქალაქეები, რომლებსაც საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით არ აქვთ სამხედრო სამსახურში გაწვევის გადავადების ან სამხედრო სამსახურში გაწვევისგან გათავისუფლების მოთხოვნის უფლება;

3. მოქალაქეთა მიერ სამხედრო სავალდებულო სამსახურში გაწვევისაგან გადავადების მოსაკრებელის გადახდა განხორციელდეს გაწვევის მთლიან პერიოდში, მუნიციპალიტეტის გამწვევი კომისიის მიერ სავალდებულო სამხედრო სამსახურში გაწვევის გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში;

4. ეთხოვოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის ხაშურის რაიონულ სამმართველოს, საქართველოს მთავრობის 2023 წლის 14 აგვისტოს № 300 დადგენილების „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2023 წლის საშემოდგომო გაწვევის შესახებ“ პირველი მუხლის მე-11- ე პუნქტის შესაბამისად აღმოუჩინოს დახმარება ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველად სტრუქტურულ ერთეულს - სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურს იმ წვევამდელთა მოძებნასა და გამწვევ კომისიაზე გამოცხადებაში, რომლებიც არ იძებნებიან ან, სავარაუდოდ თავს არიდებენ სამხედრო სავალდებულო სამსახურს;

5. დამტკიცდეს გამწვევი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

კომისიის თავმჯდომარე:

თენგიზ ჩიტიაშვილი – ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი;

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:

მიხეილ ბარბაქაძე – ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის ხელმძღვანელი;

კომისიის წევრები:

გიორგი კაპანაძე – შსს ხაშურის რაიონული სამმართველოს წარმომადგენელი;

პავლე გაგნიძე – საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენელი;

ვასილ არჩვაძე – ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

ვასილ მახარობლიძე – ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

კომისიის მდივანი: ოლგა სიდიროპულო – ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის უფროსი სპეციალისტი.

6. საქართველოს მთავრობის 2023 წლის 14 აგვისტოს № 300 დადგენილების „სამხედრო სავალდებულო სამსახურში მოქალაქეთა 2023 წლის საშემოდგომო გაწვევის შესახებ“ შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 18–დან 27 წლამდე ასაკის გასაწვევი მოქალაქეები დადგენილების ამოქმედების დღიდან ვალდებულნი არიან, გამოცხადდნენ ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურში;

7. ბრძანება გამოქვეყნდეს ადგილობრივ პრესაში;

8. ბრძანება შესასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურულ ერთეულს - სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურს;

9. ბრძანება ძალაში შევიდეს 21 აგვისტოდან;

10. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ, კანონმდებლობით დადგენილი წესით,

ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ.ხაშური, კოსტავას ქ. №15) ერთი თვის ვადაში.

თენგიზ ჩიტიაშვილი,

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი

- სპეციალისტის ბლოგი -

რამ გამოიწვია, წელს, ვაზის სოკოვანი დაავადებების ასეთი გააქტიურება

მცენარეების დაავადებების გამომწვევი სოკო ორგანიზმების განვითარებისათვის ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებისათვის მიმდინარე წლის გაზაფხული განსაკუთრებული იყო. ხშირი იყო წვიმები და, ამავე დროს, მაღალი ტემპერატურა. ეს ორი ფაქტორი, რომლებიც ხელსაყრელია მცენარეების დაავადებების გამომწვევების ზრდა - განვითარებისათვის და გავრცელებისათვის ხშირად მონაცვლეობდა დროის მოკლე მონაკვეთშიც კი. მაღალტენიანობას სწრაფად ცვლიდა მაღალი ტემპერატურა. კერძოდ, ტენიანობა 70-90% და ტემპერატურა 15-250 შირად გვესმოდა. ფერმერები ყველა ღონეს ხმარობდნენ, რათა შეემცირებინათ ის ზარალი, რასაც იწვევდა ვაზის სოკოვანი დაავადებები. ხშირად გავიგონებდი მევენახეების მხრიდან, რომ ჩატარებული წამლობების მიუხედავად, უმეტეს შემთხვევაში ვენახი მაინც ფუჭდებოდა. უნდა მოგახსენოთ, რომ ვაზის დაავადებების განვითარება დამოკიდებულია აგრეთვე ვენახის ადგილმდებარეობაზეც თუ რომელ ექსპოზიციაზეა ვენახი გაშენებული. ჩრდილო ექსპოზიციაზე გაშრობა, თუნდაც შესხმული შხამქიმიკატისა, ნელა მიმდინარეობს. სამხრეთ ექსპოზიციაზე - სწრაფად, მევენახეებს ვურჩიე ადგილობრივი გაზეთის საშუალებით, გამოეყენებინათ ვაზის ჭრაქისა და ნაცრის საწინააღმდეგოდ ისეთი პრეპარატი (მაგ. კაბრიოტოპი), რომელიც ერთდროულად მოქმედებს, როგორც ვაზის ჭრაქზე, ისე ვაზის ნაცარზე. ამით შემცირდებოდა წამლობების რიცხვი და ბუნებრივ ტენიანობას აღარ დაემატებოდა ის სისველე, რასაც ხსნარი იწვევდა. არსებობს მეცნიერებაში ე.წ. მიულერის მრუდი, რომელიც ასახავს თუ როდის აღწევს სოკოვანი დაავადებების გამომწვევები პიკს. ზუსტად ეს არის 14-150-დან 22-250-მდე ტემპერატურა ტენიანობა 70-90%-მდე. ჩვენი მეტეოროლოგები ხშირად სწორად გვკარნახობენ ამინდის ასეთ პირობებს. ზუსტად ამ შემთხვევის წინ უნდა მომხდარიყო ვაზის შეწამლა. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ამინდის პირობები ძალიან იშვიათია, როგორიც წელს იყო. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში არ არის იმის ფუფუნება, რომ ვენახის ფართობები გადაიხუროს. ეს უკანასკნელი კი დაიცავდა ვაზს დაავადებების განვითარება-გავრცელების ფაქტორისაგან.

რ. ღამბარაშვილი

სურსათის ეროვნული სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული სამმართველოს უფროსი ინსპექტორი

ულუმბო

ფრაგმენტები სოფლის ისტორიიდან

(გაგრძელება. დასაწყისი №18,19,20,21,22,23,24,25,26,27,28)

ულუმბო ჩვენი წარსულის მეტად საინტერესო ფურცელს გადაგვიშლის, თუკი აქ სერიოზული არქეოლოგიური სამუშაოები წარიმართება. შეიძლება, ამ სამუშაოებმა მიქაელ ულუმბოელის ნაკვალევზეც მიგვიყვანოს. ამას გვაფიქრებინებს გასული საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისში ღვთისმშობლის ეკლესიის ეზოში შემთხვევით ნაპოვნი ჯვრის ფრაგმენტი (სიგრძე 4,1სმ., სიგანე - 3, 7 სმ.). ჯვარი სპილენძისაა, დაზიანებულია. აკლია ერთი გვერდი, რომელზეც გამოსახული უნდა იყოს მაცხოვრის მარჯვენა ხელი. დაზიანებულია აგრეთვე ქვედა მხარის მთავარი ნაწილი, ასევე ჯვრის წვერიც. ამ დეფექტების მიუხედავად, აშკარად ჩანს, რომ ჯვარზე გამოსახულია ქრისტეს ჯვარცმა. სპეციალისტები, სტილისტური ნიშნებით, ჯვარს VII-VIII საუკუნეებით ათარიღებენ.

* * *

XIX ს - ის 30-40-იან წლებში, ხაშურის მუნიციპალიტეტის ზოგიერთი სოფელი ანტიბატონყმური მოძრაობის ტალღამ მოაცვა. მოძრაობაში აქტიურობდნენ ოსიაურის, ქვიშხეთის, ვაყის, ფლევის, აძვისის, წაღვლის, ალის და სხვა სოფლების გლეხობა.

განსაკურებით საყურადღეობო იყო ე.წ. ულუმბელი გლეხობის ანტიბატონყმური მოძრაობა, რომელიც თითქმის 20 წელზე მეტხანს გძელდებოდა და ნაწილობრივ გლეხთა გამარჯვებით დამთავრდა.

ულუმბელ გლეხებში იგულისხმება დღევანდელი ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლების წაღვლის, აძვისის, ოსიაურის და ქარელის მუნიციპალიტეტის სოფლების საღოლაშენის, მოხისის, ავლევის და ბრეძის გლეხობა. სახელწოდება ულუმბოელები მათ შეერქვათ იმ მონასტრის სახელწოდებიდან გამომდინარე, რომელსაც ეს გლეხები ეგუთვნოდნენ. კერძოდ, ულემბოს მონასტრის სახელწოდების მიხედვით. ეს მონასტერი-კი, როგორც უკვე ვიცით, ხაშურის მუნიციპალიტეტში, ჭერათხევის ხეობის სათავეში მდებარეობს.

ზემოთ აღნიშნული სოფლების 446 გლეხი, რომელიც თავის თავს ულუმბოს მონასტერს მიაკუთვნებდა, თითქმის ოცი წლის მანძილზე იბრძოდნენ თავადების - ამირეჯიბების ყმობიდან განთავისუფლებისათვის.

როგორც ირკვევა, ეს დავა, ამირეჯიბებსა და ულუმბოელებს შორის უფრო ადრე, XVIII საუკუნის 60 – 70 - იანი წლებიდან იღებს სათავეს და მეტნაკლები სიმწვავით გრძელდებოდა საქართველოს რუსეთთან შეერთებამდე და შემდეგაც.

ერთ-ერთი დოკუმენტი, რომელიც 1768 წლის 30 მაისით არის დათარიღებული, წარმოადგენს განჩინებას ამირეჯიბთა და ულუმბელთა ბატონყმობის საქმეზე, იგი მეტად საინტერესო მასალას შეიცავს, როგორც სოფლის ისტორიის, ასევე გლეხთა ანტიბატონყმური ბრძოლის შესახებაც.

განჩინებაში ნათქვამია: „ულუმბელები ულუმბის ღმრთისმშობლის შეწირულნი არიან და როდესაც ულუმბა ამირეჯიბს სასაფლაოთ მეფეთაგან წყალობა დამართებიათ, იმ მონასტრის წინამძღვარიც ამათ მისცემიათ, როგორც სხვას თავადებს წინამძღვარი და საწინამძღვრო სამკვიდროთ წყალიბით სჭირთ და ბოძებიათ, აგრევე ამირეჯიბს ულუმბა ჰბოძებიათ და ამათი ყოფილა“.

სიგელიდან ისიც ირკვევა, რომ 1768 წლისათვის ულუმბის მონასტერი და სოფელი მიტოვებულია: „ავის დროს მიზეზით აღარც წინამძღვარი უჯდათ და თითონ ეს ულუმბელები იმერეთს დაფანტული ყოფილიყვნენ“ .

ამირეჯიბები ცდილობდნენ დაფანტული გლეხების მოგროვებას ულუმბოს აღდგენას. სამეფო კარიც ხელს უწყობდა ამირეჯიბებს ამ საქმეში. ერეკლე მეფის მიერ დავით ამირეჯიბისათვის მიცემულ ყმების სითარხნისა და მორიგე ჯარიდან გათავისუფლების წიგნში ნათქვამია: ,,ჩვენი ბძანება არის დავით ამირეჯიბო! მერე რომელიც იმერელი კაცი გარდმოვა და ან თქვენი ყმა აქედამ აყრილი და იმერეთს მყოფი გარდმოვა და შენთან დასახლდება და დადგება, ჩვენ იმათ არც მორიგეში გამოვიყვანთ და არც სხვა ხარჯსა და ბეგარაში გავრევთ“.

ამირეჯიბებს იმერეთის მეფისათვის უთხოვნიათ დახმარება ულუმბოელი გლეხების ქართლში გადმოყვანის თაობაზე.

„ეს ამირეჯიბები იმერეთს მეფეს შეხვეწნოდნენ, ერთი ხარაბა ადგილი ებოძებინა, (გლეხები - თ.ლ.) იქ მოეგროვებინათ და დაეყენებინათ. რადგან უცხოს ქვეყანაში იყვნენ, იმათის დაუკარგაობისა და გაუსყიდველობის მიზეზით ამ ულუმბელებზე ზოგი რამ ძალა ამირეჯიბს დავითს მიეღო... თვითონაც ცდილიყო, ულუმბოელები იქიდამ აეყარა და ქართლში გადმოეყვანა“.

ამირეჯიბებმა შეძლეს იმერეთიდან გლეხების უკან გადმოყვანა.

სამეფო კარის განაჩენით, ულუმბელებს ამირეჯიბებისათვის ისევე უნდა ემსახურათ, როგორც ამას იმერეთში გადასვლამდე აკეთებდნენ: „რაც ძველთაგან ულუმბოელებს სამსახური ზდებიათ, იმ რიგათ ემსახურნენ“ .

აღნიშნულ განაჩენს ერეკლესთან ერთად 1768 წლის 6 ივნისს ამტკიცებს ანტონ კათალიკოსი.

1802 წლის 11 ივნისს განაჩენს კვლავ ამტკიცებს კათალიკოსი.

როგორც დოკუმენტიდან ჩანს, ამირეჯიბებს გლეხები ულუმბოში არ დაუსახლებიათ: ,,მაგრამ რადგან დღეს ულუმბელები თავის სამკვიდროზე აღარ დგანან და ამირეჯიბი სხვას მამულზე აყენებს, მარამდინ სამკვიდროზე მოსვლა მოუხდებოდესთ, შეძლებისაებრ ბატონყმურათ ემსახურონ და როცა თავის სამკვიდროზე დადგებიან, რაც ამირეჯიბისა ზდებოდეს, ისე მსახურონ“.

თუმცა ლეკიანობა მხარეში ისევ გრძელდებოდა და შექმნილი მდგომარეობა იმის საშუალებას არ იძლეოდა, რომ ისინი ულუმბოში, ,,სამკვიდროზე“ დაესახლებინათ.

ამიტომ არის ანტონ კათალიკოსის 1802 წლის 23 მაისის განჩინებაში აღნიშნული, რომ ,,ულუმბა ორმოცდაათი წელიწადი არის, რომ უშენი ყოფილა“.

ირკვევა, ულუმბელების ერთ ნაწილი ამირეჯიბებს ავლევში დაუსახლებია დროებით. შემორჩენილია მოსახლეობის აღწერის დავთარი, რომელშიც, ავლეველებთან ერთად, არაერთი ულუმბელი ფიგურირებს: ,,ქ. ავლევს ამირეჯიბი მზეჭაბუკის და დავითის ყმა აზნაურიშვილი ბაქრაძე კაციას შვილი ზალიკა კომლი ა, თავი ა.

ქ. აქავ ბარდიაშვილი აზნაურიშვილი რევაზის შვილი {...} თავი ა ქ. აქავ ამათი ყმა ულუმბელი კაპანაძე მღვდელი გიორგი, ამისი ბიძა ბერი, ამისი ძმა კაცია, კომლი ა, თავი გ.

ქ. აქავ ამათივ ყმა ულუმბელი კაპანაძე ბერიკა, ამისი ძმა ხოსია კომლი ა, თავი ბ.

ქ. აქავ ამათივე ყმა ულუმბელი ჩაჩანიძე ნინია და ლაზარე და ამისი ბიძაშილი გოგია და ბერიკა კომლი ა, თავი დ.

ქ. აქავ ამათივ ყმა ულუმბელი ჩაჩანიძე ნინია და კაცია კომლი ა, თავი ბ.

ქ. აქავ ამათივ ყმა ულუმბელი ლომიძე ლაზარე და მისი შვილი ბერიკა კომლი ა, თავი ბ.

ქ. აქავ ამათივ ყმა ულუმბელი კურტანიძე პაატა კომლი ა, თავი ა.

ქ. აქავ ამათივ ყმა წაღვლელი შუბითიძე ბერი კომლი ა, თავი ა.

ქ. აქავ ამათივ ყმა უწლეველი კვიჟინაძე შერმაზან, ამისი ძმა ნინია და ამისი ბიძაშვილი პაატა კომლი ა, თავი ბ.

ქ. აქავ ამათივ ყმა უწლეველი კვიჟინაძე ოთარიკა და მისი ძმა ივანე კომლი ა, თავი ბ.

ქ. აქავ ამირეჯიბი ზაზას ყმა ულუმბელი კაპანაძე მარკოზა, ამისი ძმა მღვდელი იოსებ, ამისი ბიძაშვილი მღვდელი სვიმონ, ამისი ძმა გოგია და კიდევ ამისი ბიძაშვილი დიაკონი გოგია და გაბრიელ კომლი ა, თავი ვ.

ქ. აქავ ამისივ ყმა ულუმბელი ჩაჩანიძე ბერიკა კომლი ა, თავი ა.

ქ. აქავ ამისივ ყმა წაღვლელი მიქელაშვილი ბერიკა, ამისი ძმა ივანე კომლი ა, თავი ბ.

ქ. აქავ ამისივ ყმა წაღვლელი აღაშვილი იმედა კომლი ა, თავი ა“

. როგორც ვხედავთ, არაერთი ულუმბელი ფიქსირდება ავლევში. სხვა დოკუმენტებიდან ჩანს, რომ იმერეთიდან გადმოსული ულუმბელები ავლევის მსგავსად სახლდებიან სხვადასხვა ადგილას, მაგალითად სოფელ არადეთში. ისინი თითქოს გაურბიან მშობლიურ ულუმბოს და ეს გასაკვირი არ არის. იმდენად გახშირებულია ლეკიანობა ალის მხარეში, რომ მათ ურჩევნიათ მშობლიური ადგილებიდან მოშორებით, შედარებით მშვიდობიან და უსაფრთხო ადგილას დასახლება.

იმერეთიდან ულუმბოს ყმა გლეხობის გადმოყვანის პროცესი XVIII ს - ის 60 -იანი წლებიდან დაიწყო. რა თქმა უნდა, ქტიურობდნენ ამირეჯიბები და ყოველ ღონეს ხმარობდნენ პროცესის დასაჩქარებლად. ამ საქმეში სათანადო ყურადღებას იჩენდა სამეფო კარი. ჯერ კიდევ 1767 წლის 10 ივნისის ბრძანებით, სამეფო კარმა მთელი რიგი შეღავათები დააწესა იმერეთიდან გადმოსულ ამირეჯიბების ყმა გლეხობაზე:

,,ჩვენი ბრძანება არის, ვინცავინ ამირეჯიბის ქაიხოსროსი და მისის ძმების ყმანი იმერეთიდამ გარდმოხვედით ამაზე თქვენ დაჯერებული იყავით. ამ ოთხს-ხუთს წელიწადს თქვენ არც ლაშქარს გამოგიყვანთ და არცა რას სხვასა სათხოვარსა გთხოვთ. ყურს მოგიგდებთ ღ-თით კარგა გაგაძლებინებთ ამ ორს თვეს მარამდინ მუშაობა არის თქვენი ან მანდ შეინახეთ საცა დგახართ და ან სხვას სიმაგრეში შეეფარენით ამ ორს თვეს უკან საკირეებსაც დაგიდგმევინებთ. იმის დაწვასა და მუშაობაში სოფლებს მოგახმარებთ ასეთი სიმაგრე გაგიკეთდებათ, რომ ღ-თით მტრისაგან საფიქრებელი აღარ გქონდესთ''.

ულუმბელები, მიუხედავად იმისა, რომ მკვიდრ ადგილზე აღარ იდგნენ და დაფანტულები იყვნენ სხვადასხვა სოფლებში, მონაწილეობას ღებულობდნენ სამეფო კარის მიერ ორგანიზებულ მორიგე ლაშქარში. ზემო ქართლის სოფლებიდან გასაყვანი მორიგე ლაშქრის დავთარში მითითებულია, რომ მორიგე ლაშქარში ქვემო ნიქოზიდან გასვლა ევალებოდა აქ მცხოვრებ ზაზა ამირეჯიბის ყმას, ულუმბელ დავით მღვდელს.

მეორე ასეთივე დავთრის მიხედვით მორიგეში გასვლა ევალებოდა მერეთიდან ულუმბის ღვთიშმშობლის ეკლესიის ყმას დეკანოზ იოსებ დეკანოზიშვილს.

უფრო მეტიც, მორიგე ლაშქარში გასვლა ევალებოდა ,,მთის იქით“ ულუმბის ღვთისმშობლის ეკლესიის ყმებს. ერეკლე მეფის 1775 წლის მიწერილობაში აღნიშნულის თაობაზე ნათქვამია: ,,რომელნიც არიან მთას იქით ულუმბის ღვთისმშობლის ყმანი ლიჩელები, რვა კაცი უნდა იყვნენ კათათვეში მორიგეთ და თოთხმეტი კაცი ხეფინისხევიდგან მორიგეთ. ამასთანავე უნდა იმყოფებოდეს გაუყრელად და უნფროს კაცად ორი აზნაურიშვილები ლიჩიდგან ლომიძეები და ხეფინიხევის უნფროს კაცათ ნადაბურიდგან ორი მსახური გელაშვილები. ამას გარდა ლიჩსა და ხეფინისხევს სხვა შეწუხება ჩვენგან არ მიადგება“.

სამეფო კარი გარკვეულ შეღავათებს უწესებდა ამირეჯიბებსაც იმერეთიდან თავიანთი ან სხვის გლეხების გადმოყვანის შემთხვევაში. ამაზე უნდა მიგვანიშნებდეს დავით ამირეჯიბის 1778 წელს 9 აგვისტოს არზა ერეკლე მეფის ოქმით. არზაში ნათქვამია: ,,ღმერთმან ბედნიერის ხელმწიფის ჭირი მოსცეს დავით ამირეჯიბს. ულუმბელი ჩვენი ყმა კაპანაძე ბერი ალი რომ წახდა, მაშინ იმერეთს გარდავარ(დ)ა და თქვენგან ოქმი მაქვს ნაბოძები იმერეთიდამ რასაც კაცს მოიყვან შენს ყმას თუ სხვის ყმას, შენ ვეღარავინ გამოგართმევსო. თქვენის ოქმის ძალით ჩემის ხარჯით კაპანაძე ბერი იმერეთიდამ გარდმოვიყვანე. ერთის ოქმის წყალობა გვიყოთ ამ ჩემს ძმას და ან სხუა კაცს ამ კაცთან ხელი არა ჰქონდეს''.

12 აგვისტოს ერეკლე მეფემ დააკმაყოფილა დავით ამირეჯიბის თხოვნა: ,,ჩვენი ბძანება არის! ეს კაცი (ბერი კაპანაძე - თ.ლ.), რადგანაც ამას (დავით ამირეჯიბს - თ. ლ.) მოუყვანია, ამისი არის, სხვას საქმე არავისა აქვს''.

როგორც ჩანს, ამირეჯიბებს გარკვეული უთანხმოება ჰქონდათ ერთმანეთთან იმერეთიდან გადმოყვანილ ყმა გლეხობის კუთვნილების თვალსაზრისით. ამის უტყუარი საბუთი უნდა იყოს ერეკლე მეფის 1781 წლის 11 ივლისის ბრძანება, რომელშიც ნათქვამია: ,,მერმე ამირეჯიბს დავითს, რომ თავისი ყმა ულუმბელი კაცი, რომ იმერეთიდამ გადმოუყვანია, ამაზედ საჭირნახულო უნდა აიღოს და სხვა საძმოდ უნდა გაიყონ ამირეჯიბმან ზაზამ და ამისმა ძმამ დავითმან და მისმან ძმისწულმან ამის გარდა რომელიც რომ გაუყოფარი კაცი ულუმბელი, რომელმაც ძმამ იმერეთიდამ კიდევ გარდმოიყვანოს, იმაზედ საჭირნახულო აიღოს და სხვა საძმოთ გაიყონ''.

ამირეჯიბებს დახმარებას უწევდა იმერეთის მეფე სოლომონ მეორეც. 1790 წლის 3 დეკემბერს იგი წყალობის სიგელს აძლევს ზაზა ამირეჯიბს: ,,ესე წყალობის წიგნი გიბოძეთ ჩვენ, სრულიად იმერთა მეფე სილომონ, შენ, მინბაშს ამირეჯიბს ზაზას, ასე რომა ქუთაისს რომ გაგისტუმრეთ, ზურაბ წერეთელთან სალთუხუცესთან, მაშინ ორს კვამლს მოჯალაბეს დაგპირდით. ახლა თუ შენი მემკვიდრე გლეხები არიან ჩემს სამეფოში, იმას ამოგიგებ და გიბოძებ, და თუ არა და ვერ ამოგიგე შენი გლეხები, ორს მოჯალაბეს, რომ დაგპირდი გლეხებს, იმას გიბოძებ, არ გიმტყუნებ“.

ჩვენს ყურადღებას იქცევს, ამირეჯიბთა გაყრის შემდეგ ერეკლე მეფის მიერ ზაზა მირეჯიბისათვის გლეხების წყალობის წიგნი. მასში ნათქვამა, რომ გასამყრელად ერეკლე მეფემ თითო-თითო კომლი გლეხი აიღო ულუმბაში, თიღვასა და ავლევში. ულუმბელმა გლეხებმა ზაზა ამირეჯიბთან ყოფნა მოინდომეს, მეფემაც გაითვალისწინა მათი თხოვნა და გარკვეული პირობით უწყალობა ამირეჯიბს:

,,...ესე წყალობის წიგნი შეგიწყალეთ და გიბოძეთ ჩვენს დიდათ ერდგულსა და თავდადებით მრავალგვარად ნამსახურს ხუთასის თავს ამირეჯიბს ზაზას, შვილსა შენსა ზალს, სარიდანს, სოლომონს, ქაიხოსროს და დიმიტრის. ასე რომ შენ და შენ ძმა და ძმისწული რომ გაიყარენით გასამყრელოთ სამი კმლი გლეხი ავიღევით, ერთი ულუმბას, ერთი თიღვას და ერთი ავლევს. რომელიც ულუმბას ავიღევით კაპანაძე მღდელი სიმონ და მისი ძმები, ჩვენ ესენი ჩვენს სახლოების დამფარველს ულუმბის მღვთისმშობელს მივართვით და მათ შენი ხელდებულობა და შენს კედლათ ყოფნა მოინდომეს. დაწერილითაც მოგვახსენეს ჩვენ ზალს ამირეჯიბის ხელათ ვიქნებითო. რადგანაც ამათაც მოინდომეს, ჩვენც ამათის ნებით შენ ასე გიბოძეთ, როგორც სხვა ულუმბის ღთისმშობლის ყმანი ულუმბელები თარხანი იყნენ. რომელსაც განწესებით ეს კაპანაძე მღდელი სვიმონ და მისი ძმანი მარკოზ, გოგია და ბერიკა, ისე თარხანი უნდა იყნენ და რომელიც თიღველი გლეხი ტრანკაძე დათუა და მისი ძმანი კიკოლა და გოგია ჩვენს გასამყრელოთ აღებული იყო, ესეც შენთვისს გვიბოძებია და წყალობა გვიქნია თავეთის მამულით დღეს რისაც მქონებელნი არიან...'.

წყალობის სიგელში ყურადღებას იქცევს შემდეგი სიტყვები: ,,რადგანაც ამათაც (კაპანაძეებმა - თ.ლ.) მოინდომეს, ჩვენც მათის ნებით შენ ასე გიბოძეთ, როგორც სხვა ულუმბის ღთისმშობლის ყმანი ულუმბელები თარხანი იყნენ, რომელსაც განწესებით ეს კაპანაძე მღდელი სვიმონ და მისი ძმანი მარკოზ, გოგია და ბერიკა ისე თარხანი უნდა იყუნენ''.

აქ გარკვევით ჩანს, რომ კაპანაძეები თარხანნი (თავისუფალი) უნდა იყვნენ, ისე როგორც ულუმბის ღვთისმშობლის ეკლესიის სხვა ყმები.

1822 წლის 2 მარტს კაპანაძეები პირობის წერილს აძლევენ ამირეჯიბებს:

,,...ესე პირობის წერილი მოგართვით შენ, ამირეჯიბს ზალის ძეს დავითს, გიორგის და დიმიტრის, ჩვენ, კაპანაძემ გრიგოლ მღდელმა და ჩემა ბიძაშვილმა გიორგიმ და ბერიმ და გიგოლამ. ასე, რომ, როდესაც თქვენი პაპანი გაყრილან იმ ჟამ(შ)ი ჩვენ მეფე ირაკლის გასამყრელოში აუღივართ. გაყრის უკან ჟამს, როგორც მეფე ირკლის წყალობის წიგნში აცხადებს... პაპის შენის თავი გამოგვითხოვნია და მეფეს ირაკლისაც უნებებია. იმ თარიღიდამ აქამომდე და (ა)ხლაც ჩვენ იმ წერილს გაძლევთ შენ დავითს და შენს ძმებსა. ასე რომ, როგორათაც შენი პაპა და მამა იყო მწყალობელი, აგრეთვე თქვენც იყოთ ჩვენზე მწყალობელი და ჩვენცა შენი ერდგული მოსამსახურე ვიყოთ. როგორც პაპის და მამისა შენისათვის გვიმსახურია, ისე შენ გემსახუროთ, ყოველივე ჩვენი წერილი აღვასრულოთ სამსახურით, რომელიც პაპის შენისთვის გვიმსახურია და ვინ იცის ჩვენმა შვილმა და ანუ შვილისშვილმა თქვენი სამსახურის უმორჩილობა იხმაროს და არ გემსახურონ, იხადონ რუსულის კანონით და ვიყოთ დამნაშავენი და გარდახდეს უმორჩილებისათვის ფიცხელის კანონით. რომელიც პაპასა და მამასა შენსა ვხლებივართ მსახურათ, აგრეთვე შენ გახლიოთ მსახური და რომელიც არის ჩვენი ესე სრული და ჭეშმარიტი პირობა. ამჟამად ღერბოვის ქაღალდი არა ქონდა და როდესაც გვიბოძო იმაზე გარდაგიწერო და კიდეც წარვდგეთ სასამართლოში დ(ღ)ეს ჩვენგან მოცემული წერილი დავამტკიცებინოთ. არის ამისი მოწამე ვინცავინ ხელს მოაწერს კაცთაგან, კიდევ კეთილშობილი კიკოლა ყრსვანოვი და მე თავადს გიორგი ავალოვს დამიწერია ამ გრიგოლ მღდლის და მისი ბიძაშვილების თხოვნით და ხელმოცემით“.

თ. ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

- ახალგაზრდები - ხაშურის მომავლისათვის -

გიორგი მაჭარაშვილი: - საქმის ერთად კეთება ჩვენი პრიორიტეტია...

28 ივლისს, ხაშურის მუნიციპალიტეტისა და ახალგაზრდობის სააგენტოს მხარდაჭერით, ხაშურის სამუსიკო სკოლის შენობაში, ახალგაზრდული სივრცე გაიხსნა. ორგანიზაცია, „ახალგაზრდები ხაშურის განვითარებისთვის“, თავის საქმიანობას, გასული წლის დეკემბრიდან ახორციელებს. წელს კი, მუნიციპალიტეტის მერიის და საკრებულოს მხარდაჭერით, ახალი სივრცე აქვთ, სადაც აქტიურად წარმართავენ ახალგაზრდულს საქმიანობებს. ორგანიზაციის ხელმძღვანელმა, გიორგი მაჭარაშვილმა, ორგანიზაციის შექმნის აუცილებლობაზე და საჭიროებებზე ისაუბრა და იმ მოლოდინებზე, რომელიც ორგანიზაციას, იმ ახალგაზრდებთან ერთად აქვთ, რომლებიც უკეთესი ხაშურის შესაქმნელად, აქტიურად არიან ჩართულნი ორგანიზაციის მიერ ინიცირებულ აქტივობებში.

გიორგი მაჭარაშვილი-ორგანიზაცია „ახალგაზრდები ხაშურის განვითარებისთვის“ ხელმძღვანელი:

-ჩვენმა ორგანიზაციამ 2022-23 წლებში განახორციელა პროექტი „ხაშურის ახალგაზრდული სივრცის შექმნა არაფორმალური განათლების ხელშეწყობის მიზნით“, აღნიშნული პროექტი განხორციელდა ახალგაზრდული სააგენტოს მიერ დაფინანსებული საგრანტო კონკურსის ფარგლებში. პროექტის განხორციელების საქმეში, მნიშვნელოვანია ადგილობრივი აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების მონაწილეობის ხაზგასმა. პროექტის მიზანი ყო, მოწყობილიყო ხაშურში ახალგაზრდული სივრცე და ახალგაზრდებისთვის ჩაგვეტარებინა ტრენინგები, სემინარები, ვორქშოპები და ამ აქტივობების ფარგლებში, მიგვეცა მათთვის არაფორმალური განათლება.

-პროექტებში მონაწილეობის შესაძლებლობა, რა ასაკის ახალგაზრდებს აქვთ?

-პროექტი რეალურად, პირველი დეკემბრიდან დავიწყეთ, ყველა აქტივობა, საკრებულოს თავმჯდომარის ხელშეწყობით, საკრებულოს სხდომათა დარბაზში ხორციელდებოდა. გვქონდა რამდენიმე გასვლითი

შეხვედრაც. ჩვენი ორგანიზაციის პრიორიტეტი, განსაკუთრებული შესაძლებლობის ადამიანების სამოქალაქო ჩართულობაა. პროექტის ფარგლებში, მოვიცავთ 14-დან 29-წლამდე ხაშურში მცხოვრებ ახალგაზრდებს, თუმცა, გვყავს სხვა ასაკობრივი ბენეფიციარებიც, რომელთა მხრიდანად დიდი იყო ინტერესი პროექტებში მონაწილეობის.

-რა იყო მიზეზი, ამ ორგანიზაციის შექმნის?

-ჩემი პიროვნული დამოკიდებულება იყო მთავრი მიზეზი და მოტივაცია, მსგავსი ტიპის საქმიანობა დამეწყო ჩემ ქალაქში და ერთგვარად, ჩემი წილი პასუხისმგებლობა ამეღო ჩემი ქალაქის განვითარების საქმეში. ცალსახად, ნათელი გახდა, რომ ასეთი აქტივობები ხაშურში არ არსებობდა და მსგავს ჩართულობას დიდი გამოხმაურება მოჰყვა. არ დაგიმალავთ, ამხელა მოლოდინი არც მე მქონია, პირველივე ანონსს, დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ჩართულობა და ინტერესი ყოველგვარ მოლოდინს გაცდა. თემა წინასწარ იყო დაანონსებული.

-თქვენი აზრით, რა იყო იმის მიზეზი, რომ ამხელა მხარდაჭერა და თანადგომა იქნა გამოხატული ხაშურის მერიის და საკრებულოს მხრიდან?

-ჩემი ზრით, დაინახეს, ჩვენი ორგანიზაციის შექმნის და არსებობის საჭიროება, - რომ ხაშურელ ახალგაზრდებს, ფორმალურ და არაფორმალური განათლების ბევრ შესაძლებლობას ვაძლევთ, რომ პრიორიტეტი ჩვენი ქალაქი და აქ მცხოვრები ახალგაზრდობაა და რომ ერთად საქმის კეთება ჩვენი პრიორიტეტია. მიუხედავად იმის, რომ ამ ეტაპზე, გაწერილი, კონკრეტული გეგმები არ გვაქვს. სადაც ვჭირდებით ჩვენს ახალგაზრდებს, რა მიმართულებითაც, ვეცდებით, ყველა სფერო მოვიცვათ, ყველა პრობლემის გარშემო ვფოკუსირდეთ. ჩვენი პირადი ბაზა შევქმენით, სადაც 112 ახალგაზრდაა გაერთიანებული. ორგანიზაციას ჰყავს დამფუძნებლები, რომლებიც ოთხი ადამიანისგან შედგება.

-დამეთანხმებით, რომ ნაყოფიერი საქმიანობის საწარმოებლად, ბიუჯეტია საჭირო. ამ მხრივ, როგორია ორგანიზაციის ფინანსური მდგომარეობა?

-ბიუჯეტი ამ ეტაპზე არ გვაქვს, მოხალისეობრივია ჩვენი მუშაობა. პროექტის ფარგლებში, ჩვენი ბიუჯეტი 30 000 ლარით განისაზღვრა, სადაც სივრცის მოწყობა, ტექნიკა, ტრენინგების ჩატარება შედიოდა. ეს ახალგაზრდობის სააგენტოს გრანტი იყო. როდესაც ორგანიზაციის შექმნის იდეა ხაშურის მერიას და საკრებულოს გავაცანით, დიდი მხარდაჭერა აღვითქვეს და ოფიციალური წერილი დავურთეთ საგრანტო განაცხადს და ესეც იყო მიზეზი იმის, რომ გრანტი ავიღეთ და წარვმართეთ ჩვენი საქმიანობა.

-რადგან ჩვენი ახალგაზრდული საქმიანობა, საკმაოდ მასშტაბური გახდა, ბუნებრივია, დღის წესრიგში დადგა სივრცის არსებოდა, სადაც შევძლებდით საქმიანობის წარმართვას. ადგილობრივი მერიის და საკრებულოს მხარდაჭერით, გადმოგვეცა რეაბილიტირებული სივრცე, სადაც ჩვენც ჩვენი წილი შევიტანეთ.28 ივლისს, ოფიციალურად გაიხსნა ახალგაზრდული სივრცე. გახსნაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის მინისტრის მოადგილე - ირაკლი გივიაშვილმა, ხაშურისა და ქარელის მაჟორიტარმა დეპუტატმა ზაალ დუგლაძემ და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

-ორგანიზაციის მუშაობის მანძილზე, რა სახის ცოდნის გაზიარება შეძელით?

-ძირითადად, ამ პროექტის ფარგლებში, ადგილობრივი ტრენერები გვყავდა ჩართული, ზვიად გოგუაძე, სკოლის დირექტორები, საარჩევნო ოლქის წევრები-საარჩევნო სისტემებზე, ბულინგზე, ბიზნესკონკურენციაზე გვყავდა მოწვეული სტუმრები. გვქონდა გასვლითი ღონისძიებები გორის სამხედრო აკადემიაში, შიდა ქართლის მიუსაფარ ცხოველების სააგენტოში.

-ახალგაზრდების მხრიდან თუ ხდება შემოთავაზებები, რაიმე პრობლემატიკის, ან თემის განხილვის? დიალოგი როგორია ახალგაზრდობასთან?

-რა თქმა უნდა, 28 ივლისს, როცა გავხსენით ეს სივრცე, პროექტი, დაიხურა, ბიუჯეტი აღარ გვაქვს. ამ მდგომარეობის გათვალისწინებით, მათ შევთავაზეთ, როგორ ხედავენ ჩვენი ორგანიზაციის მომავალს, გვაჩვენონ . ჩანიშნული გვაქვს შეხვედრა, სადაც ახალგაზრდები წარმოადგენენ თავიანთ ხედვებს, რა შეიძლება გაკეთდეს ამ პირობებში, რა ფორმატში გავაგრძელოთ მუშაობა.

უნდა აღვნიშნო, რომ ამ ეტაპზე, წლის ახალგაზრდობის სააგენტოს მრჩეველთა საბჭოს წევრი ვარ და აქტიურად წარმოვადგენ ხაშურის მუნიციპალიტეტს და აქტიურად ვცდილობ, ვაჩვენო, რომ ხაშურს შეუძლია, ახალგაზრდობის რესურსი, უდიდეს ძალად აქციოს.

თ. ჯავახიშვილი

- ხელოვნება -

„ოქროს ფარი“ შთამბეჭდავი და წარმატებული გასტროლიდან მშობლიურ ქალაქში დაბრუნდა

ხაშურის ბავშვთა დამსახურებული სახალხო ანსამბლი, ოქროს ორდენის მფლობელი „ოქროს ფარი“ ამჯერად საბერძნეთის საერთაშორისო ფესტივალის, კიდევ ერთი წარმატებული გასტროლიდან დაბრუნდა. უამრავი ჯილდოთი და მიწვევით სხვადასხვა ფესტივალებში მონაწილეობისათვის. ქორეოგრაფი

ნონა თედიაშვილი ჩვეული ენერგიულობით, სიამაყით და საკუთარი მოცეკვავეებისადმი სიყვარულით გვიამბობს საბერძნეთის გასტროლის შესახებ.

***

2023 წლის აგვისტო

წლევანდელი წელი ანსამბლისათვის “ოქროს ფარი“ ნაყოფიერი იყო, განსაკუთრებით ზაფხული. ანსამბლმა მოაიარა ქობულეთის და ბათუმის ფესტივალები, გავემგზავრეთ საბერძნეთში მსოფლიო ფესტივალზე. ვემზადებით ამერიკაში, ლას-ვეგასში მსოფლიო ფესტივალზე გასამგზავრებლად. თითქმის ყოველი თვე ძალიან აქტიური და დატვირთული იყო. დაგვიკავშირდა საბერძნეთის მსოფლიო ფესტივალის ორგანიზატორის „ენ სტუდიის“ ხელმძღვანელი.

მინდა გითხრათ, რომ ჩვენი ბავშვების დადებულ ვიდეოებს აქვს მილიონობით ნახვა ფეისბუქ გვერდზე, შესაბამისად პიარდება „ოქროს ფარი“ საქართველოს მაშტაბით და აქედან გამომდინარე, დაგვიკავშირდა „ენ სტუდია“, რომელთანაც არასოდეს არ გვითანამშრომლია. მათ მოეწონათ ანსამბლის ცეკვები, ვიდეოები და შემოგვთავაზეს, რომ მიგვეღო მონაწილეობა საბერძნეთის მსოფლიო ფესტივალზე ქალაქ სალონიკში. ფესტივალი მოიცავდა გახსნით და დახურვით დღეს. გასულ წლებში ოთხჯერ იყო ანსამბლი საბერძნეთში. გამოსვლები გვქონდა ჰალკიდიკის კუნძულებზე, სალონიკში, არისტოტელეს სახელობის უნივერსიტეტის დარბაზში, ათენში, კუნძულ კრეტაზე და ამიტომა ეს ქვეყანა „ოქროს ფარისთვის არ იყო უცხო. მაგრამ ახლა არის სხვა თაობა და მინდოდა მეხუთედ მათთან ერთად მემოგზაურა გასტროლით. საბოლოოდ ბავშვებიც, მშობლებიც ძალიან ბედნიერები და კმაყოფილები დავბრუნდით. ეს იმანაც განაპირობა, რომ გარდა იმისა, რომ ფესტივალი იყო მრავალფეროვანი, იყო ძალიან კარგი შემოთავაზებები, მოწვევები. პარალელურად ვათვალიერებდით ქალაქს. საბერძნეთთან ერთად ვიმოგზაურეთ თურქეთის დედაქალაქშიც, ვნახეთ მისი ღირსშესანიშნაობებიც.

მთლიანობაში, ქალაქიდან გასულები ვიყავით ათი დღის განმავლობაში. საბერძნეთში დავყავით ექვსი დღე. გახსნითი კონცერტი გაიმართა ბერძნებისათვის ისტორიულად მნიშვნელოვანი, - ჰალკიდის კუნძულის მახლობლად მდებარე ნაკრძალში. მეორე კონცერტი შედგა სალონიკში, სადაც გაცილებით მეტი მაყურებელი დაესწრო ფესტივალს, მათ შორის დარბაზზში ამაყად მჯდარი, ცრემლმომდგარი ემიგრანტები.

რეპერტუარი

იცით როგორ იყო? სტუდიამ, რომელმაც მიგვიწვია, გააერთიანა საქართველოში სხვადასხვა ქალაქების ქორეოგრაფიული ანსამბლები. საქართველოდან მსოფლიო ფესტივალზე წარმოდგენილი ვიყავით რვა ჯგუფი. მაშინ როდესაც სხვა ქვეყნებს წარმოადგენდა თითო ანსამბლი. ფაქტობრივად, რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ ქართული კულტურის დღეები იმართებოდა სალონიკში. ანსამბლის უმცროსი თაობის მოცეკვავეებთან ერთად, წარმოვადგინეთ მრავალფეროვანი პროგრამა: „ნარნარი“, „კავური“, „სადარბაზო“, „ცეკვა-თამაში“ ახალი პროგრამიდან და ცეკვის პოპური. ამ უკანასკნელმა ყველაზე დიდი მოწონება დაიმსახურა.

გამოხმაურება, ემიგრამნტები, ემოციები

დადებითი გამოხმაურება წამოვიდა ემიგრანტებიდან. მოდიოდნენ, გვეფერებოდნენ, გვკოცნიდნენ, ამაყობდნენ ჩვენით, მოეწონათ ჩვენი ბავშვების

ნაცეკვი, მათი გარეგნობა, კოსტიუმები.... ბერძენი ორგანიზატორისგან, დაჯილდოების დროს განსაკუთრებული შეფასება მივიღეთ, რომ თქვენს მოცეკვავეებს სისხლში აქვთ ცეკვაო, მე შევამჩნიე თქვენი აკდემიზმი, ძალიან მოგვეწონეთ და სურვილი გვაქვს მომავალშიც გავაგრძელოთ ურთიერთობაო. გადმოგვცა დიპლომები, პრიზები და ძალიან გახარებულები და ამაყები წამოვიდნენ ბავშვები ამ სიტყვების შემდეგ. მეტი სტიმული მიეცათ. რაც შეეხება ემიგრანტებს, სალონიკში 15 წელზე მეტ ხანს მცხოვრები ადგილობრივი ემიგრანტებისაგან, მივიღეთ შემოთავაზება ანსამბლმა გააკეთოს სოლო კონცერტი სალონიკში. რა თქმა უნდა, დავთანხმდით შემოთავაზებას. უკვე დაიწყო ამაზე მუშაობა.

ჩვენი გასტროლი, ხშირად შუქდებოდა საბერძნეთის ემიგრამტების ჯგუფში. დაკვიკავშირდა ათენიდან ტელევიზიის მფლობელი ემიგრანტი ქალბატონი, გამოგვიგზავნა ხაშურში გადამღები ჯგუფი, ჩაიწერა გადაცემა, რომელიც სექტემბერში გავა ინტერენეტ ტელე ეთერში. ეს ქალბატონი, პარალელურად, მუშაობს იმისათვის, რომ „ოქროს ფარის“ სოლო კონცერტი გაიმართოს ათენში. ველოდებით დეტალების შეჯერებას.

შემდეგი გასტროლი, ამერიკა

ამჟამად ჩემს სოლოსთან, „ჯეირანის“ მოცეკვავესთან, ია ლომსაძესთან და ჩვენს ძალიან მაგარ გოგოსთან, იაკო ხინჩიკაშვილთან ერთად ვემზადებით ლას-ვეგასის მსოფლიო კონკურსისათვის, ინდივიდუალურ კონკურსში მონაწილეობისათვის. 23 აგვისტოს მივფრინავთ ამერიკაში.

- რატომ არიან გასტროლიდან დაბრუნებული „ოქროს ფარის“ მოცეკვავეები ყოველთვის ასეთი კმაყოფილები?

სხვა სიამაყით მოდიან გასტროლიდან. საქართველოში ყოველი მეორე ბავშვი ცეკვავს და ამას თითქოს თვალი აქვს შეჩვეული. როდესაც საზღვარგარეთ ცეკვავ და უამრავი სხვა ქვეყნის ანსამბლია ჩამოსული, მათ ფონზე თავად მაყურებელი აკეთებს შედარებას. ხედავ, როგორი აჟიოტაჟია, რამხელა გამოხმაურება აქვს ქართულ ცეკვას, როგორი აღფრთოვანებულია მაყურებელი. გასტროლიდან დაბრუნებული ბავშვი აანალიზებს, რა განძს ეხება, რამდენად დიდი საგანძურია ქართული ცეკვა და შენ ამას ცეკვავ მსოფლიოს მაშტაბით. ეს მათ უფრო მეტ სტიმულს აძლევს და ამიტომაც ხშრად გაგვყავს ბავშვები საზღვარგარეთ, რომ თავად დაინახონ ქართული ფოლკლორის უპირატესობა.

სამი ანსამბლი ხაშურიდან

გასულ წლებში იმდენად დიდი მოწონება დაიმსახურა ქართულმა ანსამბლებმა, ქართულმა ცეკვებმა, რომ ფესტივალის ორგანიზატორებმა თავად გააკეთეს მოთხოვნა საქართველოდან სხვადასხვა ანსამბლებზე. ხაშურიდან წარმოდგენილი იყო სამი კოლექტივი. ანსამბლი „ოქროს ფარი“, ანსამბლი „სალაღობო“ და ვოკალური სტუდია „ემ სტუდია“, მარი ობოლაძის ხელმძღვანელობით.

ქალბატონი არმი ავეტოსიანი მრავალი წელია აკეთებს მსოფლიო ფესტივალებს სხვადასხვა ქვეყნებში. ფესტივალის ორგანიზატორებმა „ოქროს ფარი“ განსაკუთრებულად დადებითად შეაფასეს. პრიზად დავიმსახურეთ ესპანეთის გასტროლი, დიდი ტურნე მომავალი წლის ზაფხულში.

მოცეკვავეთა შინაგანი კულტურა

აღნიშვნის ღირსია ის, რომ ანსამბლის ბავშვები მუდმივად გამოირჩევიან ზრდილობითა და შინაგანი კულტურით. მრავალ ქვეყანაში ვყოფილვართ და ყველა მასპინძელი აღფრთოვანებულია ჩვენი მოცეკვავეების წესიერებით. ვფიქრობ, ეს ცალკე აღნიშვნას იმსახურებს, რადგან იცეკვო მარტო ქართული ცეკვა და შენი ქცევა იყოს მიუღებელი, დამეთანხმებით, ძალიან ცუდია. „ოქროს ფარის“ ბავშვები, კულტურითაც გამორჩეულები არიან და აღნიშნულზე ფესტივალის ორგანიზატორებიდან და მათთან შემხებლობაში მყოფი ადამიანებისაგან ყოველთვის მოდის დადებითი შეფასება.

მადლობა

ძალიან დიდი მადლობა მინდა ვუთხრა, ჩვენს მოცეკვავეებს, რომლებიც ბევრს შრომობენ, მათ გმირ მშობლებს, რომლებიც შვილების ბედნიერებისათვის უკან არ იხევენ. დიდი მადლობა „ენ სტუდიის“ ხელმძღვანელობას შანსისათვის, ასეთი შთამბეჭდავი გასტროლიდან დავბრუნებულიყავით.

გასტროლი ნაწილობრივ დაფინანსებული იყო ჩვენი მასპინძელი სტუდიისაგან, რომელმაც მოგვცა შესაძლებლობა დაგვეთვალიერებინა ფესტივალის ფარგლებში ჰალკიდიკის კუნძული, წმინდა ადგილი მეტეორა უამრავი ქვაში გამოთლილი მონასტრებით, წმინდა ათონის მთა, საიდანაც გადმობრძანდა ბერი წმინდა ანას ნაწილებით, ჩვენს მოცეკვავეებისათვის გადაიხადა პარაკლისი. თურქეთში მოვინახულეთ აია სოფია, ბერძნული საოცრება, თურქული საოცრება ცისფერი მეჩეთი, თოფქათის სასახლე. ძალიან შთამბეჭდავი შემეცნებითი ტური გამოვიდა. და მაინც, ამ გასტროლში, ალბათ უმთავრესი ისაა, რომ ათონის მთისა და მეტეორას მადლი მივიღეთ.

თეა ახალკაცი

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.